# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 15 თებერვალი 1994 № 9 (84) ფასი 2000 კუპონი

## ზამთრის ოლიმპიადა

სადღეისოდ გათამაშებულია მედლების 6 კომპლექტი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 3 | - |
| რუსეთი | 1 | 2 | 1 |
| იტალია | 1 | - | 1 |
| აშშ | 1 | - | - |
| გერმანია | 1 | - | - |
| ავსტრია | - | 1 | - |
| პოლანდია | - | - | 1 |
| კანადა | - | - | 1 |
| ფინეთი | - | - | 1 |
| იაპონია | - | - | 1 |

„სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტი ილია ბაბუნაშვილი ლილეჰამერიდან გვატყობინებს

# პირველად სამშობლოს სახელით

Lillehammer'94

69 ქვეყნის სპორტსმენები ლილეჰამერში მედლების 61 კომპლექტს გაითამაშებენ. საზეიმო გახსნაზე, 12 თებერვალს «ოლიმპიკ პარკში» რომ გაიმართა, ოლიმპიადების ისტორიაში პირველად გამოვიდა შვინდისფერ ქურთუკებში გამოწყობილი ხუთკაციანი ქართული დელეგაცია, რომელმაც რიცხვმრავლობით



საკმაოდ ბევრ, მათ შორის რამდენიმე თითოკაციან გუნდსაც აჯობა. საქართველოს დროშა ხელთ კახა ვახტანგიშვილს ეჭირა. სამთომოთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილი (ფოტოზე) კი კვირას პირველი ქართველი გახდა, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით იასპარეზა. ზურაბმა სწრაფდაშვებაში 47-ე ადგილი დაიკავა და ფინიშის შემდეგ «სარბიელის» კორესპონდენტს განუცხადა: მიხარია, რომ ქართველებს შორის პირველი გამოსვლის პატივი მერგო და თანაც დიდოსტატი კოლეგების მხარდამხარ რომ ვიასპარეზე!



## საქართველო — მალტა 1:0, საქართველო — ტუნისი 2:1

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა მალტის საერთაშორისო ტურნირზე, გამარჯვება კი ჩვენი ფეხბურთელების დამმარცხებელმა სლოვენიამ მოიპოვა. პირველ ტურში წარუმატებლობის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ჯერ მასპინძელთა ეროვნულ გუნდს მოუგო 1:0 (გოლი ქეცბაიამ გაიტანა) ტურნირის ბოლო დღეს კი აქამდე უძლეველ ტუნისს სძლია 2:1 (ყაველაშვილი, კუდინოვი). ამასობაში სლოვენიამ ფრედ ითამაშა ტუნისთან 2:2, მოუგო მალტას 1:0 და ტურნირში გაიმარჯვა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 4-2 | 5 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | 3-2 | 4 |
| ტუნისი | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| მალტა | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

მომავალ სამშაბათს საქართველოს ნაკრები თელ-ავივს მიემგზავრება, სადაც 24 თებერვალს საფრანგეთის მომგებ ისრაელის ნაკრებს შეხვდება. ვინაიდან იქიდან რეისი მხოლოდ სამშაბათობითაა, უქმად რომ არ იყვნენ, ჩვენი ფეხბურთელები ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებსაც ეთამაშებიან. როგორც შევიტყვეთ, ამ ტურნესთვის ნაკრების ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს რეზო არველაძის, გია გურულისა და კახი კაჭარავას მიწვევაც.



ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავთა მატჩი:

აღმოსავლეთი — დასავლეთი 127:118.

იხილეთ მესამე გვერდი

## დაისვენეთ, სანამ დათბება

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტურის მატჩები, შაბათს რომ უნდა დაწყებულიყო ვერის ბაღში, განუსაზღვრელი დროით გადაიდო. მიზეზი საყოფაცხოვრებოა. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში არც დენია, არც გათბობა და არც ცხელი წყალი. ფედერაციამ, ასეთ პირობებში თამაში შეუძლებელიაო და ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს შუა სეზონში უშნოდ და უაზროდ გამოჩხერილი თითქმის ორთვიანი შესვენება კიდევ უფრო გაუხანგრძლივა. შეხვედრების განახლებას მარტის დასაწყისში ვარაუდობენ, თუკი მანამდე დათბა და თამაში შესაძლებელი იქნა. ერთი სიტყვით, კალათბურთელებმა, ვისაც წყალში ჩაეყარათ მატჩებისთვის მომზადება, კარგი დარის დადგომაზე უნდა ილოცონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თამაშს ვერ ეღირსებიან.

მეორე ტურის მეორე წრის მატჩების გამართვა მხოლოდ ქუთაისის „ჯიხვს" უწევს. ფედერაციამ პატივი სცა თბილისში ჩამოსულ სტუმრებს და ყოველდღე ათამაშებს, ოღონდ ჩვეული სარბიელის ნაცვლად საკმაოდ თბილ და განათებულ გიორგი ეგნატაშვილის სახელობის დარბაზში (ყოფილ ლენინის დარბაზში) დღეისათვის „ჯიხვმა" 3 მატჩის ჩატარება მოასწრო და მათ ტექნიკურ შედეგებს მესამე გვერდზე გთავაზობთ.

ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო „სარბიელის" დღევანდელი ნომერი ოთხგვერდიანია

# პირველად სამშობლოს სახელით

Lillehammer'94

ჩვენები წინასასტარტო მზადებაში არიან. ყველაზე მეტ იმედებს თიბილოვ-ვახტანგიშვილის მოციგაავეთა წყვილზე ვამყარებთ, რომლებმაც ახალი, ავსტრიული ციგა ზედ გახსნის წინა დღეს მიიღეს და ახლა მის მოსარგებად ორიოდ დღელა აქვთ დარჩენილი: 18 თებერვალს ორადგილიანების შეჯიბრია. ამას ისიც დაერთო, რომ ლევან თიბილოვს 19 იანვარს გერმანიაში, ვარჯიშისას ხელზე ცერა თითი მოუტეხია ...ააბაშირიანს მოუწევს ასპარეზობა, ...უმცა, ლევანს ეს ნაკლებად აწადლებს: დაშვებისას ეგ თითი მაინც არაფერში მარგია, მთავარი ისაა, ახალ ციგას შევეჩვიოთ და მაშინ ათეულში მოხვედრაც რეალური იქნებაო.

ჯერჯერობით არ იციან, საშუალო თუ დიდი ტრამპლინიდან გადმოხტება კახა წაქაძე, უცნობია სამთომოთხილამურე ლევან აბრამიშვილის გამოსვლა-არგამოსვლის საკითხიც. რაც შეეხება მეხუთე ჩვენიანს, ზურაბ ჯიჯიშვილს, კვირას იგი პირველი ქართველი სპორტსმენი გახდა, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით იასპარეზა...

კვირა, 13 თებერვალი.



**სამთო თხილამურები. სწრაფდაშვება. ვაჟები. 55 მონაწილე.** წინადღით, ოფიციალურ ვარჯიშზე ჯიჯიშვილმა 68-ე შედეგი აჩვენა, რამაც იმის იმედი მოგვცა, რომ ზურაბი კვირას 50 საუკეთესოს შორის მოხვდებოდა: ვარჯიშზე „ძლიერნი ამა ქვეყნისა" თავთავიანთ 4-4 საუკეთესო სპორტსმენს არჩევდნენ — შეჯიბრებაში მხოლოდ 55 მოთხილამურეს უნდა ეასპარეზა. კვიტფიელის ერთიანად გაყინულმა ტრასამ ყველანი ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა, მაგრამ ზურაბმა დაგვამშვიდა — ძალიანაც მომეწონა, თუ დაშვებაა — დაშვება იყოსო და კვირას, როცა სტარტზე 50-ე ნომრად გამოვიდა, 46-ე შედეგი აჩვენა — 1.53,27. დარჩენილი ხუთი კაციდან მისი შედეგი მხოლოდ ერთმა — არგენტინელმა მარიანო პურიჩელიმ გააუმჯობესა 0,89 წამით და ქართველს 46-ე ადგილი 47-ეზე გადაუცვალა. ჯიჯიშვილი კიდევ ორ დისციპლინაში იასპარეზებს.

პირველად სახელოვანი ლუქსემბურგელი, ამ სახეობაში მსოფლიოს თასის შარშანდელი მფლობელი და წლევანდელი ლიდერი მარკ ჟირარდელი დაეშვა, რომელიც მეშვიდე მონაწილემდე პირველობას ინარჩუნებდა და მერე წამოვიდა ნორვეგიელი ჩეტილ-ანდრე ომოდტი, ვისაც ალბერვილში სუპერ-გიგანტი მოუგია, შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი გიგანტური და სპეციალური სლალომი და ახლა სწრაფდაშვების მოგებასაც ლამობდა (!) — დიდძალი მაყურებლის ჟივილ-ხივილში მან აჯობა ჟირარდელის, მაგრამ უკვე შემდეგმა მონაწილემ დააცხრო საყოველთაო ბუკ-ნაღარა და მთელი ნორვეგია ხახამშრალი დატოვა: 24 წლის ამერიკელმა ტომი მომ, ვისაც წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი აელო და მსოფლიო თასის ეტაპი რაა — ჯერ ისიც კი არ მოუგია — ერთხელ მეორე ყოფილა და ერთხელაც მესამე, ომოდტს ოთხი მეასედით აჯობა და პირველობა მერეც შეინარჩუნა. საუკეთესო თხუთმეტეული მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, მასპინძელმა ატლე სკაარდალმა დახურა და წესით ყველაფერი გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 21-ე ნომრად „გამოტყვრა" ვინმე კანადელი ედვარდ პოდივინსკი, რომელმაც ალბერვილის ჩემპიონ ავსტრიელ პატრიკ ორტლიებს „ბრინჯაო" ჩამოართვა.



**სათხილამურო რბოლა. 15 კმ თავისუფალი სტილით. ქალები. 54 მონაწილე.** თითქმის მთელი საოლიმპიადო „ოქრო-ვერცხლს" რომ რუსი და იტალიელი ქალები მოიხვეჭენ დიდი მისნობა არ უნდა და პირველივე რბოლაში სამეული რაა, ამათ სხვები ექვსეულსაც არ გააკარეს — არც საბოლოო ცხრილში და არც თუნდაც ერთ საშუალედოდ ფინიშზე. 31 წლის მანუელა დი ჩენტა, ვინც აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიადებზე პრიზიორი ბევრჯერ ყოფილა, ჩემპიონი კი — არცერთხელ, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ, რუს ლიუბოვ ეგოროვას ჯერ 5 წამს უგებდა, მერე 37-ს, 1 წუთს, საბოლოოდ კი ლამის წუთნახევარი მოუგო, თავისზე უფრო სახელოვან თანამემამულე სტეფანია ბელმონდოს კი — კიდევ მეტი. ბელმონდო მეოთხე ადგილზე დარჩა, მეორე რუსმა — ნინა გავრილიუკმა კი პირად ასპარეზობაში პირველად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. მასპინძელთაგან საუკეთესო — ანიტა მუნი მეცხრე იყო.

**ჩემპიონი:** მანუელა დი ჩენტა, იტალია. ოლიმპიადებზე: III (4X5 კმ — 1992); მსოფლიოს ჩემპიონატებზე: II (4X5 კმ — 1993; 30 კმ — 1993), III (5 კმ, 30 კმ — 1991).



**ცოგურაობა. 5000 მ. ვაჟები. 32 მონაწილე.** ნორვეგიელებმა პირველ დღეს მაინც მოიხვეჭეს ოქროს მედალი — ალბერვილის ჩემპიონი 1500 მეტრზე იუჰან-ოლაფ კოსი მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ამჯერად სტაიერულ დისტანციაზე. მეორე გარბენშივე ახალგაზრდა ნორვეგიელმა ჩელ სტორელიდმა ოლიმპიური რეკორდი დაამყარა, მეოთხეში კი კოსმა მსოფლიოს რეკორდიც დაამხო. დარჩენილთაგან ამათი გასწრება ევროპის წლევანდელ ჩემპიონს ჰოლანდიელ რინტიე რიიტსმას თუ შეეძლო და 3000 მეტრამდე უსწრებდა კიდეც ორივეს, მაგრამ ჯერ კოსს ჩამორჩა, მერე კი „ვერცხლიც" დაკარგა.

**ჩემპიონი:** იუჰან-ოლაფ კოსი, ნორვეგია. ოლიმპიადებზე: I (1500 მ — 1992); II (10 000 მ, 1992). მსოფლიოს ჩემპიონატებზე მრავალჭიდში: I (1990, 1991); II (1993).

ორშაბათი, 14 თებერვალი



**სამთო თხილამურები. ალპურ კომბინაციაში შემავალი სწრაფდაშვება. ვაჟები.** ზურაბ ჯიჯიშვილი უკვე მეორედ გამოვიდა ტრასაზე, 1.42,44 წამი აჩვენა და ამ დისციპლინის მეორე სახეობის, სლალომის წინ 44-ე ადგილზეა. მისი მწვრთნელის გერა აბრამიშვილის აზრით ზურაბს კარგი შანსი აქვს კომბინაციაში უკეთესი ადგილი დაიკავოს, რადგან საპრიზო ადგილის პრეტენდენტები რისკს არ მოერიდებიან და შეიძლება ტრასაზე წაიქცნენო. სლალომი 25 თებერვალს გაიმართება და პრიზიორებიც მაშინ გამოვლინდებიან. ორი დღით ადრე კი ჯიჯიშვილი გიგანტურ სლალომშიც გამოვა. ახლა რაც შეეხება კომბინაციის ლიდერებს. ჯერჯერობით წინაა ნორვეგიელი ლასე კიუსი, რომელსაც კვალში უდგანან წინა დღის სწრაფდაშვების პრიზიორები: მო, ომოტი და პოდივინსკი, აგრეთვე ამერიკელი რასმუსენი.



იუჰან-ოლაფ კოსმა ოლიმპიადა მსოფლიოს რეკორდით მოიგო



**სათხილამურო რბოლა. 30 კმ თავისუფალი სტილით. ვაჟები. 48 მონაწილე.** სტარტის წინ ნორვეგიელმა „თხილამურების ხელმწიფემ" ვეგარდ ულვანგმა განაცხადა: უქეიფოდ ვარ და მხოლოდ 50 კილომეტრს ვირბენო. წესით მეორე ნორვეგიელ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ბიორნ დელის უნდა მოეგო, მაგრამ მას მთელი რბოლის მანძილზე უსწრებდა და საბოლოოდ თითქმის ერთი წუთით გაასწრო ახალგაზრდა თანამემამულემ თომას ალსგაარდმა, ვისაც წლევანდელი მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე ამავე დისტანციაზე მე-8 ადგილი დაეკავებინა. მესამე ფინელი მიკა მილილაე იყო. კიდევ ერთი ფავორიტი, ყაზახი ვლადიმერ სმირნოვი 22-ე კილომეტრამდე მეოთხე იყო, მაგრამ მერე დაილალა და საბოლოოდ მე-10 ადგილზე დარჩა.



**ციგაობა. ერთადგილიანი. ვაჟები.** წინა დღით გამართული პირველი ორი დაშვების შემდეგ ალბერვილის ჩემპიონი გერმანელი გეორგ ჰაკლი ლიდერობდა. მესამე დაშვების შემდეგ მას ავსტრიელმა მარკუს პროკმა გაუსწრო, მაგრამ ბოლო დაშვებისას პროკი შედრკა და ისევე როგორც წინა ოლიმპიადაზე, მეორე დარჩა.



გეორგ ჰაკლი — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი

**ჩემპიონი:** გეორგ ჰაკლი, გერმანია. ოლიმპიადებზე: I (1992); II (1988). მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (1989, 1990); II (1991, 1993).



**ცოგურაობა. 500 მ. ვაჟები. 42 მონაწილე.** უდავო ფავორიტმა, ამერიკელმა დან ჯენსენმა 30 იანვარს კალგარიში გამართულ სპრინტერულ მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 35,76 და ჩემპიონიც გახდა, მაგრამ მას ოლიმპიადებზე ფატალური უიღბლობა დასჩემდა: 1988 წელს, ასევე მსოფლიო ჩემპიონის რანგში, კალგარის ოლიმპიადაზე იგი წაიქცა, აქ კი არ წაქცეულა, მაგრამ გვარიანად წაიბორძიკა, მე-8 ადგილზე დარჩა და „უპატრონო ეკლესიას" რუსები დაეპატრონნენ: მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სერგეი კლევჩენია და, ეგ კიდევ არაფერი, ალექსანდრე გოლუბევი, ვინც წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე 500 მეტრზე მე-7 და მე-10 ადგილები დაიკავა (?!). ამათ ვერც ოთხი იაპონელი გაუმკლავდა და ჩემპიონი გოლუბევი გახდა, მეორე პრიზიორი კი — კლევჩენია.



**ფიგურული სრიალი. წყვილები. ორიგინალური პროგრამა.** თავისუფალი პროგრამის წინ, რომელიც 15 თებერვალს გაიმართება, ლიდერობენ კალგარის ოლიმპიური ჩემპიონები, ეკატერინა გორდეევა — სერგეი გრინკოვი, რომლებმაც წელს სამოყვარულო სტატუსი დაიბრუნეს. მათ კვალში უდგანან რუსი თანამემამულენი, ალბერვილის ჩემპიონები ნატალია მიშკუტიონოკი — არტურ დმიტრიევი და კანადელი მსოფლიოს ჩემპიონები — იზაბელ ბრასერი — ლოიდ აისლერი.

ილია ბაბუნაშვილი
ტელეფონით ლილეჰამერიდან

## 13 თებერვალი

**სათხილამურო რბოლა. ქალები. 15 კმ თავისუფალი სტილით**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მანუელა დი ჩენტა | იტალია | — 39.44,5 |
| 2 | ლიუბოვ ეგოროვა | რუსეთი | — 41:03,0 |
| 3 | ნინა გავრილიუკი | რუსეთი | — 41.10,4 |
| 4 | სტეფანია ბელმონდო | იტალია | — 41.33,6 |
| 5 | ლარისა ლაზუტინა | რუსეთი | — 41.57,2 |
| 6 | ელენა ვიალბე | რუსეთი | — 42.26,6 |

**სამთო თხილამურები. ვაჟები. სწრაფდაშვება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ტომი მო | აშშ | — 1.45;75 |
| 2 | ჩეტილ-ანდრე ომოდტი | ნორვეგია | — 1.45,79 |
| 3 | ედვარდ პოდივინსკი | კანადა | — 1.45,87 |
| 4 | პატრიკ ორტლიბი | ავსტრია | — 1.46.01 |
| 5 | მარკ ჟირარდელი | ლუქსემბურგი | — 1.46,09 |
| 6 | ჰანს ტრინკლი | ავსტრია | — 1.46,22 |
| 47 | ზურაბ ჯიჯიშვილი | საქართველო | — 1.53,27 |

**ციგურაობა. ვაჟები. 5 000 მ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | იუჰან-ოლაფ კოსი | ნორვეგია | — 6.34,96 |
| 2 | ჩელ სტორელიდი | ნორვეგია | — 6.42,58 |
| 3 | რინტიე რიიტსმა | ჰოლანდია | — 6.43,94 |
| 4 | ფალკო ზანდსტრა | ჰოლანდია | — 6.44,58 |
| 5 | ბარტ ფელდკამფი | ჰოლანდია | — 6.49,00 |
| 6 | ტოშიჰიკო იტოკავა | იაპონია | — 6.49,38 |

## 14 თებერვალი

**სათხილამურო რბოლა. ვაჟები. 30 კმ თავისუფალი სტილით**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თომას ალსგაარდი | ნორვეგია | — 1:12.26,4 |
| 2 | ბიორნ დელი | ნორვეგია | — 1:13.13,6 |
| 3 | მიკა მილილაე | ფინეთი | — 1:14.14,0 |
| 4 | მიხაილ ბოტვინოვი | რუსეთი | — 1:14.43,8 |
| 5 | მაურილიო დე ძოლტი | იტალია | — 1:14.55,5 |
| 6 | იარი ისამეტსა | ფინეთი | — 1:15.12,5 |

**ციგურაობა. ვაჟები. 500 მ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრ გოლუბევი | რუსეთი | — 36,33 |
| 2 | სერგეი კლევჩენია | რუსეთი | — 36,39 |
| 3 | მანაბუ ჰორიი | იაპონია | — 36,53 |
| 4 | ლიუ ჰონგბო | ჩინეთი | — 36,54 |
| 5 | ჰიროიასუ შიმიცუ | იაპონია | — 36,60 |
| 6 | იუნიჩი ინოე | იაპონია | — 36,63 |

**ციგაობა. ვაჟები. ერთადგილიანი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | გეორგ ჰაკლი | გერმანია | — 3.21,571 |
| 2 | მარკუს პროკი | ავსტრია | — 3.21,584 |
| 3 | არმინ ცოგელერი | იტალია | — 3.21,833 |
| 4 | ნორბერტ ჰუბერი | იტალია | — 3.22,418 |
| 5 | ვენდელ სუკოუ | აშშ | — 3.22,424 |
| 6 | არნოლდ ჰუბერი | იტალია | — 3.22,474 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# «ოლ-სტარელთა» ბენეფისი



აკიმ ოლაჯუონი

ხუთშაბათი, 10 თებერვალი

ნიუ-იორკ ნიქსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 105:113. „ვორიორზის" თავდამსხმელმა, „ოლ-სტარელმა" ლატრელ სპრიუელმა პირადი რეკორდი დაამყარა — 41 ქულა. აქამდე მისი საუკეთესო შედეგი 36 ქულა იყო (შარშან „ლეიკერზთან"). მისმა თანაგუნდელებმა კრის მულინმა (21 ქულა), კრის ვებერმა (13 ქულა) და ბაირონ ჰიუსტონმა (11 ქულა) ბოლო წუთებზე გამოგლიჯეს გამარჯვება მასპინძლებს პატრიკ იუინგს (24 ქულა), ჯონ სტარქსს (22 ქულა), გრეგ ენტონის (19 ქულა) და ჩარლზ ოკლის (17 ქულა).

ატლანტა ჰოქსი — მაიამი ჰითი 114:98. ატლანტელმა „ოლ-სტარელმა" დომინიკ ვილკინსმა (32 ქულა) მორიგი მიღწევა გააუმჯობესა — 33 ქულა გააკეთა და 12-წლიანი კარიერის მანძილზე 23172 დააგროვა. ამით მან ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეათე ადგილზე გადაინაცვლა. მეცხრე ადგილზეა ადრიან დენტლი, რომელიც მხოლოდ 5 ქულით უსწრებს ვილკინსს. კევინ ვილისმა დომინიკის მონაგარს 24 ქულა და 22 მოხსნა დაუმატა.

დეტროიტ პისტონზი — ჰიუსტონ როკიტსი 81:104. „დეტროიტის" დარბაზი აქამდე ერთადერთი იყო ასოციაციაში, სადაც „ჰიუსტონს" არ გაემარჯვა. ამჯერად ნავსი გატყდა — „ოლ სტარზე" აღმოსავლეთის გაერთიანების ნაკრების ძირითადი ცენტრის აკიმ ოლაჯუონის (28 ქულა, 20 მოხსნა) წყალობით. კარგად ითამაშეს სხვა ჰიუსტონელებმაც — ახალბედა ალან ჰიუსტონმა (19 ქულა), სკოტ ბრუქსმა (15 ქულა), ვერნონ მაქსველმა (14 ქულა) და ოთის თორფმა (13 ქულა). „პისტონზში" საუკეთესო იყო აიზია ტომასი (18 ქულა).

სან-ანტონიო სპერზი — დენვერ ნაგიტზი 94:87. მასპინძელთა ცენტრმა, „ოლ სტარელმა" დევიდ რობინსონმა (29 ქულა) „სპერზს" რეკორდი გააუმჯობესებინა — კლუბს თავის ისტორიაში ზედიზედ 9 თამაში მოგებული არ ჰქონია. თანაც ეს იყო ზედიზედ მე-11 გამარჯვება სან-ანტონიოს „ალამოდოუმში". „დენვერმა" სროლათა მხოლოდ 36 პროცენტი ჩააგდო. მისმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ 18 ქულა გააკეთა.

• მილუოკი ბაქსი — ჩიკაგო ბულზი 90:97. მილუოკელმა ტოდ დეიმ ზედიზედ 9 ქულა გააკეთა და დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გუნდი 82:74 დააწინაურა. მაგრამ მომდევნო სამწუთიანი მონაკვეთი „ჩიკაგომ" 15:4 მოიგო (ტონი კუკოჩმა 5 ქულა ჩააგდო) და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. მის შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო „ოლ-სტარელი" ფრთა სკოტი პიპენი (23 ქულა). „ბულზის" რიგებში არ იყო ცენტრი ბილ კარტრაიტი, რომელსაც მარჯვენა მუხლის სახსრების ანთება აქვს. სკოტ ვილიამსმა (11 ქულა) არცთუ ურიგოდ შეცვალა იგი.

დალას მავერიქსი — ვაშინგტონ ბულიტსი 87:77. „დალასმა" სეზონში პირველად მოიგო ორი მატჩი ზედიზედ. ფეტ ლევერმა კლუბის რეკორდი დაამყარა გადაცემათა ჩაჭრაში — 9. აქამდე ეს მიღწევა ჯიმ სპანარკელსა და დერიკ ჰაპერს (8-8) ეკუთვნოდათ. „მავერიქსს" ყველაზე მეტი ქულა ჯამალ მაშბურნმა შესძინა — 16. დედაქალაქელებს კი ტომ გულიოტამ — 18.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — საკრამენტო კინგზი 84:103. „საკრამენტომ" წლეულს სამივე მატჩი მოუგო „ლეიკერზს". ასეთი შედეგი მას 1974-75 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. „კინგზმა" მეტოქის მოედანზე გამართული უკანასკნელი 45 შეხვედრიდან მხოლოდ მეორედ დაამარცხა იგი. საუკეთესო „მეფე" იყო ლაიონელ სიმონსი — 32 ქულა. „ოლ-სტარელმა" მიჩ რიჩმონდმა 19 ქულა გააკეთა.

„ოლ-სტარის" გამო NBA-ს რეგულარული ჩემპიონატი 10 თებერვალს შეწყდა და განახლდება დღეს, 15 თებერვალს.

| მდგომარეობა: | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის ჯგუფი | | | |
| ნიუ-იორკი | 34 | 14 | 708 |
| ორლანდო | 27 | 20 | 574 |
| მაიამი | 23 | 24 | 489 |
| ნიუ-ჯერსი | 22 | 24 | 478 |
| ბოსტონი | 20 | 27 | 426 |
| ფილადელფია | 20 | 27 | 426 |
| ვაშინგტონი | 15 | 32 | 319 |
| ცენტრალური ჯგუფი | | | |
| ატლანტა | 34 | 13 | 723 |
| ჩიკაგო | 34 | 13 | 723 |
| კლივლენდი | 24 | 23 | 511 |
| ინდიანა | 23 | 23 | 500 |
| შარლოტი | 22 | 25 | 468 |
| მილუოკი | 14 | 34 | 291 |
| დეტროიტი | 11 | 37 | 229 |
| შუა-დასავლეთის ჯგუფი | | | |
| ჰიუსტონი | 34 | 12 | 739 |
| სან-ანტონიო | 35 | 14 | 714 |
| იუტა | 31 | 18 | 633 |
| დენვერი | 22 | 25 | 468 |
| მინესოტა | 14 | 32 | 304 |
| დალასი | 6 | 42 | 125 |
| წყნარი ოკეანის ჯგუფი | | | |
| სიეტლი | 35 | 10 | 778 |
| ფინიქსი | 31 | 15 | 674 |
| პორტლენდი | 27 | 20 | 575 |
| გოლდენ სტეიტი | 27 | 20 | 575 |
| ლ. ა. ლეიკერზი | 18 | 29 | 382 |
| ლ. ა. კლიპერზი | 16 | 29 | 356 |
| საკრამენტო | 15 | 32 | 319 |

## საქართველოს ჩემპიონატი

12 თებერვალი, შაბათი.

„კაქტუსი" — „ჯიხვი" 106:59 (69:29).
„კაქტუსი": ქართველიშვილი, აბრამიძე (21), ჩხეიძე (22), ნაცვლიშვილი (23), ბერძენიშვილი (12), ბაბულაძე (4), ს. ულენტი (8), დილმელაშვილი (2), ხუხაშვილი (4), ოთიურიძე (11), ტეფნაძე.
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (7), ბერეკაშვილი (24), დევიძე (14), ჯალაღონია, თურქაძე (4), გუმბერიძე, მუშკუდიანი (3), ხაზარაძე, სამხარაძე (4), ჭეიშვილი (3).
მსაჯები: გიორგი ავალიშვილი, ჯემალ ნინიაშვილი.

13 თებერვალი, კვირა

„შევარდენი" — „ჯიხვი" 94:93 (45:45).
„შევარდენი": ისაკაძე (20), მაჭავარიანი (19), მოლოდინაშვილი (5), ფიოდოროვი (6), გაფრინდაშვილი (20), სართანია (11), ინაძე (9), ქავთარაძე, ესიტაშვილი, ლვინეფაძე, თაბუაშვილი.
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (37), დევიძე (13), ბერეკაშვილი (25), მუშკუდიანი (10), გუმბერიძე (2), ჯალაღონია (6), თურქაძე, ხაზარაძე, სამხარაძე.
მსაჯები: გიორგი ავალიშვილი, როლანდ გელოვანი.

14 თებერვალი, ორშაბათი

„ვითა" — „ჯიხვი" 108:42 (48:20).
„ვითა": ტურაშვილი (22), შენგელია (26), ჩუბინიძე (18), ჩერქეზიშვილი (7), ბეჟანიშვილი (10), კობეშავიძე (15), მაჭარაძე (10).
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (28), ბერეკაშვილი, დევიძე (10), მუშკუდიანი (3), სამხარაძე (1), ხაზარაძე.
მსაჯები: ჯემალ ნინიაშვილი, ზურაბ აბაშიძე.



# აღმოსავლეთი — დასავლეთი 127:118

კვირას ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მინეაპოლისში გაიმართა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანებების ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი — „ოლ-სტარი". გუნდებმა შეხვედრა შემდეგი შემადგენლობებით დაიწყეს — აღმოსავლეთი: ოლაჯუონი (ჰიუსტონი), კემპი (სიეტლი), პეიტონი (სიეტლი), დრექსლერი (პორტლენდი), რიჩმონდი (საკრამენტო); დასავლეთი: ო ნილი (ორლანდო), კოულმენი (ნიუ-ჯერსი), პიპენი (ჩიკაგო), ანდერსონი (ნიუ-ჯერსი), არმსტრონგი (ჩიკაგო).

„აღმოსავლეთი" მთელი თამაში ლიდერობდა — პირველი მეოთხედი 12 ქულით მოიგო, ხოლო ტაიმი — 8 ქულით. მესამე მეოთხედის დასასრულამდე 37 წამით ადრე მარკ პრაისმა (კლივლენდი, 20 ქულა) სამქულიანი ჩააგდო და 101:90 დააწინაურა აღმოსავლელები. მეოთხე მეოთხედის დაწყებისთანავე „აღმოსავლეთმა" შედეგიანად შეუტია და 13 ქულით დაწინაურდა, რაც მატჩის მსვლელობისას ყველაზე დიდი სხვაობა იყო. აქ „დასავლეთი" გამოფხიზლდა. ათამაშდნენ დევიდ რობინსონი (სან-ანტონიო) და დამტვრეული ჩარლზ ბარკლის (ფინიქსი) შემცვლელი გერი პეიტონი (სიეტლი). ოთხ წუთში პეიტონმა 6 ქულა გააკეთა, რობინსონმა 5 და „დასავლეთმა" ეს მონაკვეთი 17:5 მოიგო. შემდეგ კი აღმოსავლელთა ჯერი დადგა — „ნიუ-იორკ ნიქსელებმა" პატრიკ იუინგმა (20 ქულა, 12 — მეოთხე მეოთხედში) და ჯონ სტარქსმა ზედიზედ 9 ქულა მოუტანეს ნაკრებს და 117:110 დააწინაურეს.

• „დასავლეთმა" უკანასკნელად გაიბრძოლა ცენტრმა კლიფ რობინსონმა (პორტლენდი) ფარქვეშიდან, ხოლო შარშანდელი „ოლ-სტარის" საუკეთესო მოთამაშემ გამთამაშებელმა ჯონ სტოქტონმა (იუტა) სამქულიანი ჩააგდეს და ორ ქულამდე შეამცირეს ანგარიში. იქვე აღმოსავლელმა სკოტი პიპენმა (ჩიკაგო) ორი საჯარიმო ააცდინა. მისმა თანაგუნდელებმა ჩაშალეს „დასავლეთის" მორიგი შეტევა და დამთავრებამდე 2 წუთით და 20 წამით ადრე პიპენმა ორი ქულა ჩააგდო, რამაც საბოლოოდ გატეხა „დასავლეთი".



შაკილ ო ნილს ხელი მოეცარა

პიპენმა მეოთხე მეოთხედში მხოლოდ ეს ორი ქულა ჩააგდო, თუმცა მანამდე ითამაშა კარგად. ეს სკოტის მეოთხე „ოლ-სტარი" იყო, მაგრამ პირველი მისი ლეგენდარული თანაგუნდელის მაიკლ ჯორდანის გარეშე. წინა სამ მატჩზე პიპენი ჯორდანის ჩრდილქვეშ იყო და საშუალო შედეგიანობა თამაშში 9,3 ქულა ჰქონდა. ახლა, როცა მარტო დარჩა, თითქოს გაიხსნაო და ამ შეხვედრაში 29 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა. თანაც, 15 სროლიდან 9 ჩააგდო. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პიპენი დაესახელებინათ 44-ე „ოლ-სტარის" საუკეთესო მოთამაშედ.



ჩიკაგოელი სკოტი პიპენი 44-ე „ოლ-სტარის" საუკეთესო მოთამაშეა

„დასავლეთში" საუკეთესოები იყვნენ ცენტრები აკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი) და დევიდ რობინსონი — 19-19 ქულა. „დასავლეთმა" უფრო გააუარესა „ოლ-სტარების" საერთო ანგარიში — 16:28 აგებს.

აღსანიშნავია, რომ საზიზღრად ითამაშა NBA-ის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხულმა 21 წლის მუსულმანმა ცენტრმა შაკილ ო ნილმა (ორლანდო). შაკილს ბოლო დროს ახალი გასართობი გაუჩენია — სხვადასხვა ტელეარხებზე რეპის სტილში მღერის. ეტყობა, იგი იმდენად გაიტაცა ესტრადამ, რომ კალათბურთისთვის ველარ იცლის. „ოლ-სტარზე" ო ნილმა მხოლოდ 8 ქულა ჩააგდო, 12 სროლიდან 10 გააცუდა, ხოლო 11 საჯარიმოდან 4 ჩააგდო.

### ყველა „ოლ-სტარის" რეკორდსმენები:

თამაში
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 18
მოედანზე გატარებული წუთები
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 449
სროლა თამაშიდან
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 213
ჩაგდება თამაშიდან
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 105
ჩაგდების პროცენტი
რენდი სმიტი — 71,4
საჯარიმოები
ელჯინ ბეილორი — 98
ჩაგდებული საჯარიმოები
ელჯინ ბეილორი — 78
საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი
არჩი კლარკი — 100
მოხსნა
უილტ ჩემბერლენი — 197
საგოლე პასი
მეჯიქ ჯონსონი — 127
ჩაჭრა
აიზია ტომასი — 29
დაფარება
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 31
სამქულიანი სროლები
მეჯიქ ჯონსონი — 21
ჩაგდებული სამქულიანები
მეჯიქ ჯონსონი, მარკ პრაისი — 10
ქულები
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 251
საშუალო შედეგიანობა
მაიკლ ჯორდანი — 22,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველად სამშობლოს სახელით

ჩვენები წინასასტარტო მზადებაში არიან. ყველაზე მეტ იმედებს თიბილოვ-ვახტანგიშვილის მოციგავეთა წყვილზე ვამყარებთ, რომლებმაც ახალი, ავსტრიული ციგა ზედ გახსნის წინა დღეს მიიღეს და ახლა მის მოსარგებად ორიოდ დღეღა აქვთ დარჩენილი: 18 თებერვალს ორადგილიანების შეჯიბრია. ამას ისიც დაერთო, რომ ლევან თიბილოვს 19 იანვარს გერმანიაში, ვარჯიშისას ხელზე ცერა თითი მოუტეხია [illegible]აბაშირიანს მოუწევს ასპარეზობა, [illegible]ემცა, ლევანს ეს ნაკლებად ანაღვლებს: დაშვებისას ეგ თითი მაინც არაფერში მარგია, მთავარი ისაა, ახალ ციგას შევეჩვიოთ და მაშინ ათეულში მოხვედრაც რეალური იქნებაო.

ჯერჯერობით არ იციან, საშუალო თუ დიდი ტრამპლინიდან გადმოხტება კახა წაქაძე, უცნობია სამთომოთხილამურე ლევან აბრამიშვილის გამოსვლა-არგამოსვლის საკითხიც. რაც შეეხება მეხუთე ჩვენიანს, ზურაბ ჯიჯიშვილს, კვირას იგი პირველი ქართველი სპორტსმენი გახდა, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით იასპარეზა...

კვირა, 13 თებერვალი.



სამთო თხილამურები. სწრაფდაშვება. ვაჟები. 55 მონაწილე. წინადღით, ოფიციალურ ვარჯიშზე ჯიჯიშვილმა 68-ე შედეგი აჩვენა, რამაც იმის იმედი მოგვცა, რომ ზურაბი კვირას 50 საუკეთესოს შორის მოხვდებოდა: ვარჯიშზე „ძლიერნი ამა ქვეყნისა" თავთავიანთ 4-4 საუკეთესო სპორტსმენს არჩევდნენ — შეჯიბრებაში მხოლოდ 55 მოთხილამურეს უნდა ესასპარეზა. კვიტფიელის ერთიანად გაყინულმა ტრასამ ყველანი ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა, მაგრამ ზურაბმა დაგვამშვიდა — ძალიანაც მომეწონა, თუ დაშვებაა — დაშვება იყოსო და კვირას, როცა სტარტზე 50-ე ნომრად გამოვიდა, 46-ე შედეგი აჩვენა — 1.53,27. დარჩენილი ხუთი კაციდან მისი შედეგი მხოლოდ ერთმა — არგენტინელმა მარიანო პურიჩელიმ გააუმჯობესა 0,89 წამით და ქართველს 46-ე ადგილი 47-ეზე გადაუცვალა. ჯიჯიშვილი კიდევ ორ დისციპლინაში იასპარეზებს.

პირველად სახელოვანი ლუქსემბურგელი, ამ სახეობაში მსოფლიოს თასის შარშანდელი მფლობელი და წლევანდელი ლიდერი მარკ ჟირარდელი დაეშვა, რომელიც მეშვიდე მონაწილემდე პირველობას ინარჩუნებდა და მერე წამოვიდა ნორვეგიელი ჩეტილ-ანდრე ომოდტი, ვისაც ალბერვილში სუპერგიგანტი მოუგია, შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი გიგანტური და სპეციალური სლალომი და ახლა სწრაფდაშვების მოგებასაც ლამობდა (!) — დიდძალი მაყურებლის ჟივილ-ხივილში მან აჯობა ჟირარდელის, მაგრამ უკვე შემდეგმა მონაწილემ დააცხრო საყოველთაო ბუკ-ნაღარა და მთელი ნორვეგია ხახამშრალი დატოვა: 24 წლის ამერიკელმა ტომი მომ, ვისაც წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი აელო და მსოფლიო თასის ეტაპი რაა — ჯერ ისიც კი არ მოუგია — ერთხელ მეორე ყოფილა და ერთხელაც მესამე, ომოდტს ოთხი მეასედით აჯობა და პირველობა მერეც შეინარჩუნა. საუკეთესო თხუთმეტეულში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, მასპინძელმა ატლე სკაარდალმა დახურა და წესით ყველაფერი გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 21-ე ნომრად „გამოტყვრა" ვინმე კანადელი ედვარდ პოდივინსკი, რომელმაც ალბერვილის ჩემპიონ ავსტრიელ პატრიკ ორტლიებს „ბრინჯაო" ჩამოართვა.



სათხილამურო რბოლა. 15 კმ თავისუფალი სტილით. ქალები. 54 მონაწილე. თითქმის მთელი საოლიმპიადო „ოქრო-ვერცხლს" რომ რუსი და იტალიელი ქალები მოიხვეჭენ დიდი მისნობა არ უნდა და პირველივე რბოლაში სამეული რაა, ამათ სხვები ექვსეულსაც არ გააკარეს — არც საბოლოო ცხრილში და არც თუნდაც ერთ საშუალედოდ ფინიშზე. 31 წლის მანუელა დი ჩენტა, ვინც აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიადებზე პრიზიორი ბევრჯერ ყოფილა, ჩემპიონი კი — არცერთხელ, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ, რუს ლიუბოვ ეგოროვას ჯერ 5 წამს უგებდა, მერე 37-ს, 1 წუთს, საბოლოოდ კი ლამის წუთნახევარი მოუგო, თავისზე უფრო სახელოვან თანამემამულე სტეფანია ბელმონდოს კი — კიდევ მეტი. ბელმონდო მეოთხე ადგილზე დარჩა, მეორე რუსმა — ნინა გავრილიუკმა კი პირად ასპარეზობაში პირველად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. მასპინძელთაგან საუკეთესო — ანიტა მუნი მეცხრე იყო.



იუჰან-ოლაფ კოსმა ოლიმპიადა მსოფლიოს რეკორდით მოიგო

ჩემპიონი: მანუელა დი ჩენტა, იტალია. ოლიმპიადებზე: III (4X5 კმ — 1992); მსოფლიოს ჩემპიონატებზე: II (4X5 კმ — 1993; 30 კმ — 1993), III (5 კმ, 30 კმ — 1991).



ციგურაობა. 5000 მ. ვაჟები. 32 მონაწილე. ნორვეგიელებმა პირველ დღეს მაინც მოიხვეჭეს ოქროს მედალი — ალბერვილის ჩემპიონი 1500 მეტრზე იუჰან-ოლაფ კოსი მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ამჯერად სტაიერულ დისტანციაზე. მეორე გარბენშივე ახალგაზრდა ნორვეგიელმა ჩელ სტორელიდმა ოლიმპიური რეკორდი დაამყარა, მეოთხეში კი კოსმა მსოფლიოს რეკორდიც დაამხო. დარჩენილთაგან ამათი გასწრება ევროპის წლევანდელ ჩემპიონს ჰოლანდიელ რინტიე რიიტსმას თუ შეეძლო და 3000 მეტრამდე უსწრებდა კიდეც ორივეს, მაგრამ ჯერ კოსს ჩამორჩა, მერე კი „ვერცხლიც" დაკარგა.

ჩემპიონი: იუჰან-ოლაფ კოსი, ნორვეგია. ოლიმპიადებზე: I (1500 მ — 1992); II (10 000 მ, 1992). მსოფლიოს ჩემპიონატებზე მრავალჭიდში: I (1990, 1991); II (1993).

ორშაბათი, 14 თებერვალი



სამთო თხილამურები. ალპურ კომბინაციაში შემავალი სწრაფდაშვება. ვაჟები. ზურაბ ჯიჯიშვილი უკვე მეორედ გამოვიდა ტრასაზე, 1.42,44 წამი აჩვენა და ამ დისციპლინის მეორე სახეობის, სლალომის წინ 44-ე ადგილზეა. მისი მწვრთნელის გერა აბრამიშვილის აზრით ზურაბს კარგი შანსი აქვს კომბინაციაში უკეთესი ადგილი დაიკავოს, რადგან საპრიზო ადგილის პრეტენდენტები რისკს არ მოერიდებიან და შეიძლება ტრასაზე წაიქცნენო. სლალომი 25 თებერვალს გაიმართება და პრიზიორებიც მაშინ გამოვლინდებიან. ორი დღით ადრე კი ჯიჯიშვილი გიგანტურ სლალომშიც გამოვა. ახლა რაც შეეხება კომბინაციის ლიდერებს. ჯერჯერობით წინაა ნორვეგიელი ლასე კიუსი, რომელსაც კვალში უდგანან წინა დღის სწრაფდაშვების პრიზიორები: მო, ომოტი და პოდივინსკი, აგრეთვე ამერიკელი რასმუსენი.



სათხილამურო რბოლა. 30 კმ თავისუფალი სტილით. ვაჟები. 48 მონაწილე. სტარტის წინ ნორვეგიელმა „თხილამურების ხელმწიფემ" ვეგარდ ულვანგმა განაცხადა: უქეიფოდ ვარ და მხოლოდ 50 კილომეტრს ვირბენო. წესით მეორე ნორვეგიელ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ბიორნ დელის უნდა მოეგო, მაგრამ მას მთელი რბოლის მანძილზე უსწრებდა და საბოლოოდ თითქმის ერთი წუთით გაასწრო ახალგაზრდა თანამემამულემ თომას ალსგაარდმა, ვისაც წლევანდელი მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე ამავე დისტანციაზე მე-8 ადგილი დაეკავებინა. მესამე ფინელი მიკა მილილაე იყო. კიდევ ერთი ფავორიტი, ყაზახი ვლადიმერ სმირნოვი 22-ე კილომეტრამდე მეოთხე იყო, მაგრამ მერე დაიღალა და საბოლოოდ მე-10 ადგილზე დარჩა.



ციგაობა. ერთადგილიანი. ვაჟები. წინა დღით გამართული პირველი ორი დაშვების შემდეგ ალბერვილის ჩემპიონი გერმანელი გეორგ ჰაკლი ლიდერობდა. მესამე დაშვების შემდეგ მას ავსტრიელმა მარკუს პროკმა გაუსწრო, მაგრამ ბოლო დაშვებისას პროკი შედრკა და ისევე როგორც წინა ოლიმპიადაზე, მეორე დარჩა.



გეორგ ჰაკლი — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი

ჩემპიონი: გეორგ ჰაკლი, გერმანია. ოლიმპიადებზე: I (1992); II (1988). მსოფლიოს ჩემპიონატებზე: I (1989, 1990); II (1991, 1993).



ციგურაობა. 500 მ. ვაჟები. 42 მონაწილე. უდავო ფავორიტმა, ამერიკელმა დან ჯენსენმა 30 იანვარს კალგარიში გამართულ სპრინტერულ მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 35,76 და ჩემპიონიც გახდა, მაგრამ მას ოლიმპიადებზე ფატალური უიღბლობა დასჩემდა: 1988 წელს, ასევე მსოფლიო ჩემპიონის რანგში, კალგარის ოლიმპიადაზე იგი წაიქცა, აქ კი არ წაქცეულა, მაგრამ გვარიანად წაიბორძიკა, მე-8 ადგილზე დარჩა და „უპატრონო ეკლესიას" რუსები დაეპატრონნენ: მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სერგეი კლევჩენია და, ეგ კიდევ არაფერი, ალექსანდრე გოლუბევი, ვინც წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე 500 მეტრზე მე-7 და მე-10 ადგილები დაიკავა (?!). ამათ ვერც ოთხი იაპონელი გაუმკლავდა და ჩემპიონი გოლუბევი გახდა, მეორე პრიზიორი კი — კლევჩენია.



ფიგურული სრიალი. წყვილები. ორიგინალური პროგრამა. თავისუფალი პროგრამის წინ, რომელიც 15 თებერვალს გაიმართება, ლიდერობენ კალგარის ოლიმპიური ჩემპიონები, ეკატერინა გორდეევა — სერგეი გრინკოვი, რომლებმაც წელს სამოყვარულო სტატუსი დაიბრუნეს. მათ კვალში უდგანან რუსი თანამემამულენი, ალბერვილის ჩემპიონები ნატალია მიშკუტიონოკი — არტურ დმიტრიევი და კანადელი მსოფლიოს ჩემპიონები — იზაბელ ბრასერი — ლოიდ აისლერი.

ილია ბაბუნაშვილი
ტელეფონით ლილეჰამერიდან

## 13 თებერვალი

**სათხილამურო რბოლა. ქალები. 15 კმ თავისუფალი სტილით**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მანუელა დი ჩენტა | იტალია | — 39.44,5 |
| 2 | ლიუბოვ ეგოროვა | რუსეთი | — 41:03,0 |
| 3 | ნინა გავრილიუკი | რუსეთი | — 41.10,4 |
| 4 | სტეფანია ბელმონდო | იტალია | — 41.33,6 |
| 5 | ლარისა ლაზუტინა | რუსეთი | — 41.57,2 |
| 6 | ელენა ვიალბე | რუსეთი | — 42.26,6 |

**სამთო თხილამურები. ვაჟები. სწრაფდაშვება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ტომი მო | აშშ | — 1.45,75 |
| 2 | ჩეტილ-ანდრე ომოდტი | ნორვეგია | — 1.45,79 |
| 3 | ედვარდ პოდივინსკი | კანადა | — 1.45,87 |
| 4 | პატრიკ ორტლიბი | ავსტრია | — 1.46.01 |
| 5 | მარკ ჟირარდელი | ლუქსემბურგი | — 1.46,09 |
| 6 | ჰანს ტრინკლი | ავსტრია | — 1.46,22 |
| 47 | ზურაბ ჯიჯიშვილი | საქართველო | — 1.53,27 |

**ციგურაობა. ვაჟები. 5 000 მ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | იუჰან-ოლაფ კოსი | ნორვეგია | — 6.34,96 |
| 2 | ჩელ სტორელიდი | ნორვეგია | — 6.42,58 |
| 3 | რინტიე რიიტსმა | ჰოლანდია | — 6.43,94 |
| 4 | ფალკო ზანდსტრა | ჰოლანდია | — 6.44,58 |
| 5 | ბარტ ფელდკამფი | ჰოლანდია | — 6.49,00 |
| 6 | ტოშიჰიკო იტოკავა | იაპონია | — 6.49,38 |

## 14 თებერვალი

**სათხილამურო რბოლა. ვაჟები. 30 კმ თავისუფალი სტილით**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თომას ალსგაარდი | ნორვეგია | — 1:12.26,4 |
| 2 | ბიორნ დელი | ნორვეგია | — 1:13.13,6 |
| 3 | მიკა მილილაე | ფინეთი | — 1:14.14,0 |
| 4 | მიხაილ ბოტვინოვი | რუსეთი | — 1:14.43,8 |
| 5 | მაურილიო დე ძოლტი | იტალია | — 1:14.55,5 |
| 6 | იარი ისამეტსა | ფინეთი | — 1:15.12,5 |

**ციგურაობა. ვაჟები. 500 მ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრ გოლუბევი | რუსეთი | — 36,33 |
| 2 | სერგეი კლევჩენია | რუსეთი | — 36,39 |
| 3 | მანაბუ ჰორიი | იაპონია | — 36,53 |
| 4 | ლიუ ჰონგბო | ჩინეთი | — 36,54 |
| 5 | ჰიროიასუ შიმიცუ | იაპონია | — 36,60 |
| 6 | იუნიჩი ინოე | იაპონია | — 36,63 |

**ციგაობა. ვაჟები. ერთადგილიანი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | გეორგ ჰაკლი | გერმანია | — 3.21,571 |
| 2 | მარკუს პროკი | ავსტრია | — 3.21,584 |
| 3 | არმინ ცოგელერი | იტალია | — 3.21,833 |
| 4 | ნორბერტ ჰუბერი | იტალია | — 3.22,418 |
| 5 | ვენდელ სუკოუ | აშშ | — 3.22,424 |
| 6 | არნოლდ ჰუბერი | იტალია | — 3.22,474 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# «ოლ-სტარელთა» ბენეფისი


აკიმ ოლაჯუონი

ხუთშაბათი, 10 თებერვალი

ნიუ-იორკ ნიქსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 105:113. „ვორიორზის" თავდამსხმელმა, „ოლ-სტარელმა" ლატრელ სპრიუელმა პირადი რეკორდი დაამყარა — 41 ქულა. აქამდე მისი საუკეთესო შედეგი 36 ქულა იყო (შარშან „ლეიკერზთან"). მისმა თანაგუნდელებმა კრის მულინმა (21 ქულა), კრის ვებერმა (13 ქულა) და ბაირონ ჰიუსტონმა (11 ქულა) ბოლო წუთებზე გამოგლიჯეს გამარჯვება მასპინძლებს პატრიკ იუინგს (24 ქულა), ჯონ სტარქსს (22 ქულა), გრეგ ენტონის (19 ქულა) და ჩარლზ ოკლის (17 ქულა).

ატლანტა ჰოქსი — მაიამი ჰითი 114:98. ატლანტელმა „ოლ-სტარელმა" დომინიკ ვილკინსმა (32 ქულა) მორიგი მიღწევა გააუმჯობესა — 33 ქულა გააკეთა და 12-წლიანი კარიერის მანძილზე 23172 დააგროვა. ამით მან ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეათე ადგილზე გადაინაცვლა. მეცხრე ადგილზეა ადრიან დენტლი, რომელიც მხოლოდ 5 ქულით უსწრებს ვილკინსს. კევინ ვილისმა დომინიკის მონაგარს 24 ქულა და 22 მოხსნა დაუმატა.

დეტროიტ პისტონზი — ჰიუსტონ როკიტსი 81:104. „დეტროიტის" დარბაზი აქამდე ერთადერთი იყო ასოციაციაში, სადაც „ჰიუსტონს" არ გაემარჯვა. ამჯერად ნავსი გატყდა — „ოლ სტარზე" აღმოსავლეთის გაერთიანების ნაკრების ძირითადი ცენტრის აკიმ ოლაჯუონის (28 ქულა, 20 მოხსნა) წყალობით. კარგად ითამაშეს სხვა ჰიუსტონელებმაც — ახალბედა ალან ჰიუსტონმა (19 ქულა), სკოტ ბრუქსმა (15 ქულა), ვერნონ მაქსველმა (14 ქულა) და ოთის თორპმა (13 ქულა). „პისტონზში" საუკეთესო იყო აიზია ტომასი (18 ქულა).

სან-ანტონიო სპერზი — დენვერ ნაგითზი 94:87. მასპინძელთა ცენტრმა, „ოლ სტარელმა" დევიდ რობინსონმა (29 ქულა) „სპერზს" რეკორდი გააუმჯობესებინა — კლუბს თავის ისტორიაში ზედიზედ 9 თამაში მოგებული არ ჰქონია. თანაც ეს იყო ზედიზედ მე-11 გამარჯვება სან-ანტონიოს „ალამოდოუმში". „დენვერმა" სროლათა მხოლოდ 36 პროცენტი ჩააგდო. მისმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ 18 ქულა გააკეთა.

• მილუოკი ბაქსი — ჩიკაგო ბულზი 90:97. მილუოკელმა ტოდ დეიმ ზედიზედ 9 ქულა გააკეთა და დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გუნდი 82:74 დააწინაურა. მაგრამ მომდევნო სამწუთიანი მონაკვეთი „ჩიკაგომ" 15:4 მოიგო (ტონი კუკოჩმა 5 ქულა ჩააგდო) და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. მის შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო „ოლ-სტარელი" ფრთა სკოტი პიპენი (23 ქულა). „ბულზის" რიგებში არ იყო ცენტრი ბილ კარტრაიტი, რომელსაც მარჯვენა მუხლის სახსრების ანთება აქვს. სკოტ ვილიამსმა (11 ქულა) არცთუ ურიგოდ შეცვალა იგი.

დალას მავერიქსი — ვაშინგტონ ბულიტსი 87:77. „დალასმა" სეზონში პირველად მოიგო ორი მატჩი ზედიზედ. ფეტ ლევერმა კლუბის რეკორდი დაამყარა გადაცემათა ჩაჭრაში — 9. აქამდე ეს მიღწევა ჯიმ სპანარკელსა და დერიკ ჰაპერს (8-8) ეკუთვნოდათ. „მავერიქსს" ყველაზე მეტი ქულა ჯამალ მაშბურნმა შესძინა — 16. დედაქალაქელებს კი ტომ გულიოტამ — 18.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — საკრამენტო კინგზი 84:103. „საკრამენტომ" წლეულს სამივე მატჩი მოუგო „ლეიკერზს". ასეთი შედეგი მას 1974-75 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. „კინგზმა" მეტოქის მოედანზე გამართული უკანასკნელი 45 შეხვედრიდან მხოლოდ მეორედ დაამარცხა იგი. საუკეთესო „მეფე" იყო ლაიონელ სიმონსი — 32 ქულა. „ოლ-სტარელმა" მიჩ რიჩმონდმა 19 ქულა გააკეთა.

„ოლ-სტარის" გამო NBA-ს რეგულარული ჩემპიონატი 10 თებერვალს შეწყდა და განახლდება დღეს, 15 თებერვალს.

| მდგომარეობა: | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის ჯგუფი | | | |
| ნიუ-იორკი | 34 | 14 | 708 |
| ორლანდო | 27 | 20 | 574 |
| მაიამი | 23 | 24 | 489 |
| ნიუ-ჯერსი | 22 | 24 | 478 |
| ბოსტონი | 20 | 27 | 426 |
| ფილადელფია | 20 | 27 | 426 |
| ვაშინგტონი | 15 | 32 | 319 |
| ცენტრალური ჯგუფი | | | |
| ატლანტა | 34 | 13 | 723 |
| ჩიკაგო | 34 | 13 | 723 |
| კლივლენდი | 24 | 23 | 511 |
| ინდიანა | 23 | 23 | 500 |
| შარლოტი | 22 | 25 | 468 |
| მილუოკი | 14 | 34 | 291 |
| დეტროიტი | 11 | 37 | 229 |
| შუა-დასავლეთის ჯგუფი | | | |
| ჰიუსტონი | 34 | 12 | 739 |
| სან-ანტონიო | 35 | 14 | 714 |
| იუტა | 31 | 18 | 633 |
| დენვერი | 22 | 25 | 468 |
| მინესოტა | 14 | 32 | 304 |
| დალასი | 6 | 42 | 125 |
| წყნარი ოკეანის ჯგუფი | | | |
| სიეტლი | 35 | 10 | 778 |
| ფინიქსი | 31 | 15 | 674 |
| პორტლენდი | 27 | 20 | 575 |
| გოლდენ სტეიტი | 27 | 20 | 575 |
| ლ. ა. ლეიკერზი | 18 | 29 | 382 |
| ლ. ა. კლიპერზი | 16 | 29 | 356 |
| საკრამენტო | 15 | 32 | 319 |

## საქართველოს ჩემპიონატი

12 თებერვალი, შაბათი.

„კაქტუსი" — „ჯიხვი" 106:59 (69:29).
„კაქტუსი": ქართველიშვილი, აბრამიძე (21), ჩხეიძე (22), ნაცვლიშვილი (23), ბერძენიშვილი (12), ხაბულაძე (4), ს. ულენტი (8), დილმელაშვილი (2), ხუხაშვილი (4), ოთიურიძე (11), ტეფნაძე.
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (7), ბერეკაშვილი (24), დევიძე (14), ჯალალონია, თურქაძე (4), გუმბერიძე, მუშკუდიანი (3), ხაზარაძე, სამხარაძე (4), ჭეიშვილი (3).
მსაჯები: გიორგი ავალიშვილი, ჯემალ ნინიაშვილი.

13 თებერვალი, კვირა

„შევარდენი" — „ჯიხვი" 94:93 (45:45).
„შევარდენი": ისაკაძე (20), მაჭავარიანი (19), მოლოდინაშვილი (5), ფიოდოროვი (6), გაფრიმდაშვილი (20), სართანია (11), ინაძე (9), ქავთარაძე, ესიტაშვილი, ლვინეფაძე, თაბუაშვილი.
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (37), დევიძე (13), ბერეკაშვილი (25), მუშკუდიანი (10), გუმბერიძე (2), ჯალალონია (6), თურქაძე, ხაზარაძე, სამხარაძე.
მსაჯები: გიორგი ავალიშვილი, როლანდ გელოვანი.

14 თებერვალი, ორშაბათი

„ვითა" — „ჯიხვი" 108:42 (48:20).
„ვითა": ტურაშვილი (22), შენგელია (26), ჩუბინიძე (18), ჩერქეზიშვილი (7), ბეჟანიშვილი (10), კობეშავიძე (15), მაჭარაძე (10).
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (28), ბერეკაშვილი, დევიძე (10), მუშკუდიანი (3), სამხარაძე (1), ხაზარაძე.
მსაჯები: ჯემალ ნინიაშვილი, ზურაბ აბაშიძე.

ALL-STAR-ის მატჩი

# აღმოსავლეთი — დასავლეთი 127:118

კვირას ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მინეაპოლისში გაიმართა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანებების ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი — „ოლ-სტარი". გუნდებმა შეხვედრა შემდეგი შემადგენლობებით დაიწყეს — აღმოსავლეთი: ოლაჯუონი (ჰიუსტონი), კემპი (სიეტლი), პეიტონი (სიეტლი), დრექსლერი (პორტლენდი), რიჩმონდი (საკრამენტო); დასავლეთი: ო ნილი (ორლანდო), კოულმენი (ნიუ-ჯერსი), პიპენი (ჩიკაგო), ანდერსონი (ნიუ-ჯერსი), არმსტრონგი (ჩიკაგო).

„აღმოსავლეთი" მთელი თამაში ლიდერობდა — პირველი მეოთხედი 12 ქულით მოიგო, ხოლო ტაიმი — 8 ქულით. მესამე მეოთხედის დასასრულამდე 37 წამით ადრე მარკ პრაისმა (კლივლენდი, 20 ქულა) სამქულიანი ჩააგდო და 101:90 დააწინაურა აღმოსავლელები. მეოთხე მეოთხედის დაწყებისთანავე „აღმოსავლეთმა", შედეგიანად შეუტია და 13 ქულით დაწინაურდა, რაც მატჩის მსვლელობისას ყველაზე დიდი სხვაობა იყო. აქ „დასავლეთი" გამოფხიზლდა. ათამაშდნენ დევიდ რობინსონი (სან-ანტონიო) და დამტვრეული ჩარლზ ბარკლის (ფინიქსი) შემცვლელი გერი პეიტონი (სიეტლი). ოთხ წუთში პეიტონმა 6 ქულა გააკეთა, რობინსონმა 5 და „დასავლეთმა" ეს მონაკვეთი 17:5 მოიგო. შემდეგ კი აღმოსავლელთა ჯერი დადგა — „ნიუ-იორკ ნიქსელებმა" პატრიკ იუინგმა (20 ქულა, 12 — მეოთხე მეოთხედში) და ჯონ სტარქსმა ზედიზედ 9 ქულა მოუტანეს ნაკრებს და 117:110 დააწინაურეს.

• „დასავლეთმა" უკანასკნელად გაიბრძოლა ცენტრმა კლიფ რობინსონმა (პორტლენდი) ფარქვეშიდან, ხოლო შარშანდელი „ოლ-სტარის" საუკეთესო მოთამაშემ გამთამაშებელმა ჯონ სტოქტონმა (იუტა) სამქულიანი ჩააგდეს და ორ ქულამდე შეამცირეს ანგარიში. იქვე აღმოსავლელმა სკოტი პიპენმა (ჩიკაგო) ორი საჯარიმო აალდინა. მისმა თანაგუნდელებმა ჩაშალეს „დასავლეთის" მორიგი შეტევა და დამთავრებამდე 2 წუთით და 20 წამით ადრე პიპენმა ორი ქულა ჩააგდო, რამაც საბოლოოდ გატეხა „დასავლეთი".


შაკილ ო ნილს ხელი მოეცარა

პიპენმა მეოთხე მეოთხედში მხოლოდ ეს ორი ქულა ჩააგდო, თუმცა მანამდე ითამაშა კარგად. ეს სკოტის მეოთხე „ოლ-სტარი" იყო, მაგრამ პირველი მისი ლეგენდარული თანაგუნდელის მაიკლ ჯორდანის გარეშე. წინა სამ მატჩზე პიპენი ჯორდანის ჩრდილქვეშ იყო და საშუალო შედეგიანობა თამაშში 9,3 ქულა ჰქონდა. ახლა, როცა მარტო დარჩა, თითქოს გაიხსნაო და ამ შეხვედრაში 29 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა. თანაც, 15 სროლიდან 9 ჩააგდო. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პიპენი დაესახელებინათ 44-ე „ოლ-სტარის" საუკეთესო მოთამაშედ.


ჩიკაგოელი სკოტი პიპენი 44-ე „ოლ-სტარის" საუკეთესო მოთამაშეა

„დასავლეთში" საუკეთესოები იყვნენ ცენტრები აკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი) და დევიდ რობინსონი — 19-19 ქულა. „დასავლეთმა" უფრო გააუარესა „ოლ-სტარების" საერთო ანგარიში — 16:28 აგებს.

აღსანიშნავია, რომ საზიზღრად ითამაშა NBA-ის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხულმა 21 წლის მუსულმანმა ცენტრმა შაკილ ო ნილმა (ორლანდო). შაკილს ბოლო დროს ახალი გასართობი გაუჩენია — სხვადასხვა ტელეარხებზე რეპის სტილში მღერის. ეტყობა, იგი იმდენად გაიტაცა ესტრადამ, რომ კალათბურთისთვის ველარ იცლის. „ოლ-სტარზე" ო ნილმა მხოლოდ 8 ქულა ჩააგდო, 12 სროლიდან 10 გააცუდა, ხოლო 11 საჯარიმოდან 4 ჩააგდო.

**ყველა „ოლ-სტარის" რეკორდსმენები:**

თამაში
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 18
მოედანზე გატარებული წუთები
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 449
სროლა თამაშიდან
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 213
ჩაგდება თამაშიდან
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 105
ჩაგდების პროცენტი
რენდი სმიტი — 71,4
საჯარიმოები
ელჯინ ბეილორი — 98
ჩაგდებული საჯარიმოები
ელჯინ ბეილორი — 78
საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი
არჩი კლარკი — 100
მოხსნა
უილტ ჩემბერლენი — 197
საგოლე პასი
მეჯიქ ჯონსონი — 127
ჩაჭრა
აიზია ტომასი — 29
დაფარება
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 31
სამქულიანი სროლები
მეჯიქ ჯონსონი — 21
ჩაგდებული სამქულიანები
მეჯიქ ჯონსონი, მარკ პრაისი — 10
ქულები
ქარიმ აბდულ ჯაბარი — 251
საშუალო შედეგიანობა
მაიკლ ჯორდანი — 22,1

# „თეთრი ზვიგენი“ ისევ პირველია



ნორმანის მიერ დამხობილი ფალდო

მსოფლიო გოლფს „ახალი მეუფე მოევლინა: ინგლისელი ნიკ ფალდოს 81-კვირიანი ზეობის შემდეგ მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე დაბრუნდა „თეთრ ზვიგენად“ ცნობილი 39 წლის ავსტრალიელი გრეგ ნორმანი.

ნორმანმა გაიმარჯვა თაილანდის ქალაქ ფუკეტში, „ლურჯი კანიონის“ გოლფ-კლუბში გამართულ ჯონი ვოკერის კლასიკურ შეჯიბრებაში, რომელიც ევროპული ტურის პროგრამაში ითვლება. ნორმანს ჯილდოდ ასი ათასი გირვანქა სტერლინგი ერგო.

ფუკეტში 144 მონაწილემ მოიყარა თავი. ფალდო შარშან, წლის მიწურულს მთლად კარგად ვერ თამაშობდა; ამიტომ ინგლისელმა ხუთკვირიანი არდადეგები მოიწყო, რომლის დროსაც თურმე დაბზრიალებით დარტყმას ხვეწდა. მიუხედავად ამისა, ფალდომ „ლურჯ კანიონში“ მაინც ცუდად იასპარეზა და ორი წრის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას — ორმაგ ნორმაზე უარესი შედეგი აღმოაჩნდა.

შეჯიბრში ბევრ ცნობილ მოთამაშეს უნდა ეთამაშა. იქ იყვნენ ბოლო „რაიდერის თასის“ მონაწილეები: ამერიკელი ფრედ კაპლზი, ინგლისელი ბარი ლეინი, შვედი იოახიმ ჰაგმანი, შოტლანდიელი კოლინ მონთგომერი, გერმანელი ბერნჰარდ ლანგერი. ნორმანისაგან ნაყიდი საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა ზიმბაბველი ნიკ პრაისიც, რომელმაც შარშანდელ ამერიკულ ტურში ჯამური ჰონორარით ყველას აჯობა, მაგრამ მარჯვენა მკლავის სახსარი გაუმიზეზდა და თუმცაკი ივარჯიშა და კიდეც იმკურნალა, მაგრამ თამაში ველარ შეძლო.

თავიდან ნორმანიც ავად იყო — ისე უცნაური ფილტვების ინფექცია შეეყარა, რომ სმენაც კი დაუქვეითდა. ჰოდა, პირველ წრეში გზის გავლას სამით მეტი — 75 დარტყმა მოანდომა, რითაც 9 დარტყმით ჩამორჩა დაწინაურებულ კაპლსს (6-ით უკეთესი). ნორმაზე 4-ით უკეთესი შედეგი (68) ჰქონდათ ლანგერსა და უელსელ იენ ვუზნემს, სულ კი ძლიერმა ქარმა ოდენ 24 მონაწილეს შეაძლებინა ნორმის დაძლევა.

მეორე წრეში კაპლზს მარცხი შეემთხვა — ნორმაზე შეჩერდა, რითაც ლანგერმა იდროვა და წამოეწია. ორივეს 138 ანუ ორმაგ ნორმაზე 6-ით უკეთესი ჰქონდა. ლიდერებს ერთი დარტყმით ჩამორჩებოდა ტაივანელი შეი ჩინ ჩენგი.

შაბათს, მესამე წრეში „ზვიგენმა“ აიშვა და გზის რეკორდი — 64 გაიმეორა, რისი წყალობითაც ლანგერისა და ტაივანელის მხარდამხარ (208) ერთი დარტყმითღა ჩამორჩებოდა კაპლზსა და ვუზნემს (207).

დასკვნით, მეოთხე წრეში, XVI ორმოზე ნორმანმა „ჩიტუნია“ გააზერხა და კაპლზს დაეწია, ბოლო XVIII ორმოზე კი იმ წრეში მეხუთე „ჩიტუნიით“ გაასწრო (68). კაპლზს ანგარიშის გათანაბრება და დამატებითი თამაშის გახერხება შეეძლო, მაგრამ ბოლო ორმოს იერიშის დროს ხელი აზლოდან მოეცარა (70). ლანგერმა „ორმაგი მაჯლაჯუნა“ იწვნია XIV ორმოზე, ვუზნემმა კი — ასევე „ორმაგი მაჯლაჯუნა“ VI და XVIII ორმოებზე (73). საბოლოოდ ნორმანს 277 დარტყმა დაუგროვდა, რაც ოთხმაგ ნორმაზე 11-ით უკეთესი იყო. კაპლსმა შეჯიბრება 278 დარტყმით დაასრულა, ლანგერმა — 279-ით, ვუზნემმა კი — 281-ით.

30 წლის „ჩიკაგოელი ხარი“ მაიკლ ჯორდანი აღარ ხუმრობს — კეტბურთს სერიოზულად მოჰკიდებია. ოთხი თვის წინ კალათბურთზე გულაყრილმა ვარსკვლავმა იანვარში კეტბურთში გადასვლა რომ მოინადინა, ურწმუნო თომები მრავლად გამოჩნდნენ, „ჯეელი რომ



ჯორდანი გოლფის ყვანჯით

იყოს, კიდევ ჰო, ახლა კი რაღას მიაღწევსო“. მაგრამ მამის ანდერძის ერთგულ ჯორდანს — მაიკლი მოწაფეობისას თურმე კარგი კეტბურთელი ყოფილა და მამამისს მაშინვე სდომებია, ვაჟი ამ სპორტს რომ გაჰყოლოდა, — უკვე მოუწერია ხელი კონტრაქტისათვის ტენესის შტატის „ნეშვილ საუნდზთან“, რომელიც კეტბურთის უმთავრეს ლიგაში არ თამაშობს, მაგრამ „ჩიკაგო ვაით სოქსის“ სანაშენედ კი ითვლება. ჯორდანს საჯაროდ განუცხადებია, რომ იმედი აქვს უკვე შუა სეზონში ისე დაწინაურდეს, რომ ჩიკაგოში იხმონ.



# ძალად არაბები სათამაშოდ გვეპატიჟებიან!?

რაგბის მესამე მსოფლიო თასის დასკვნითი სტადია 1995 წელს უნდა გაიმართოს, შესარჩევი შეჯიბრებები კი 1992 წელს დაიწყო. საქართველო შეჯიბრებას შარშან გამოეთიშა, წააგო რა რუსეთთან და პოლონეთთან. რაც შეეხება კოლორიტულ გუნდს, უთუოდ ფოტოგრაფის თხოვნით რომ შეუქცევია ზურგი პოტენციური მნახველ-მკითხველისათვის, რომელიმე ცალკეულ ქვეყანას არ წარმოადგენდა, მაგრამ შერჩევაში მაინც მონაწილეობდა.

ეს გუნდი იყო ე.წ. არაბთა ყურე, მაგრამ თუ საბჭოთა ეპოქის გეოგრაფიის ერთგულნი დავრჩებით, მას სახელად სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ნაკრები უფრო შეეფერება. საქმე ისაა, რომ არაბთა ყურის რაგბის კავშირი 1991 წლიდან რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) წევრია და უნიკალურია იმით, რომ რამდენიმე ქვეყნის მორაგბეებს აერთიანებს.

არაბთა ყურე მთელს მსოფლიოში ალბათ ყველაზე რიცხვმცირე რაგბის კავშირია. იგი აერთიანებს ოდენ 150-170 მოთამაშეს, რომლებიც გაბნეული ყოფილან ექვს საამიროდ: დამოუკიდებელ ომანად (მასკატად), ყატარად, ბაჰრეინად და გაერთიანებულ დუბაიდ, აბუ-დაბიდა და შარჯად. მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა მოთამაშის დედა ენა ინგლისურია, გუნდი თავს მაინცდამაინც არაბობაზე დებს, რის გამოც კვართებზე ნომრები არაბული ციფრებით აწერია. მათი შეცნობის მსურველთათვის შევნიშნავთ, რომ არაბები რიცხვთა თანრიგებს ჩვენებურად ალაგებენ. ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ) დგანან: 7, 21, 11, 6, 4, 5, 8, 1, 2, 19, ხოლო ჩამუხლულან 15, 3, 13, 18, 17, 12, 10, 9, 16, 20 და 14.

გუნდს დიდი მისსია უკისრია. მის წევრებს თურმე სწადიათ, რომ არაბები რაგბის ალმზრდელობითსა და საზოგადოებრივ სიკარგეში დაარწმუნონ. არადა, იქაურები რაგბს თურმე საერთოდ არ სწყალობენ და იგი მათთან ჩათესლილ გადამთიელთა გასართობად მიაჩნიათ. „არაბებს არად ეპიტნავებათ ფიზიკური კონტაქტი, ამიტომაც არ ეტანებიან რაგბსო“, ჩივიან თურმე ეს გადამთიელნი, მაგრამ ისიც ნათქვამია, „ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო“. სარაგბო მას-მედიას არაერთხელ გაუბათილებია ექსპატრიანტთა ეს მოსაზრება ტუნისელთა და მაროკოელთა მაგალითის მოტანით. „ისინიც ხომ არაბები არიან, მაგრამ დახეთ, რა თავდავიწყებით ერკინებიან მეტოქესო“. ანაც „საფრანგეთის ნაკრების აყლაყუდა ვარსკვლავი აბდელატიფ ბენაზი ხომ არაბია — ვიდრე ფრანგები ჩაისიძებდნენ, მაროკოს ნაკრებში 14 კეპი მოუგროვებიაო“.

არაბთა ყურელი მორაგბეები არა ცრუ, არამედ ჭეშმარიტი მოყვარულები არიან. ახალზელანდიელი კაპიტანი პოლ ტერნერი (№12) ჯეელობაში თურმე ოქსფორდში თამაშობდა და „ოლ ბლექსში“ მოსახვედრად მოწყობილ შესარჩევ თამაშშიც კი უმონაწილევია, ახლა კი ბაჰრეინში მიწათმომწყობად მუშაობს. ინგლისელი ნილ დევონპორტი (9), რომელსაც თავისი ქვეყნის მეორე ნაკრებში უთამაშია, ასევე ბაჰრეინში მოღვაწეობს, ოღონდ ნეიროქირურგად. ბობ რიხტერი (4) საუდთა არაბეთში აგრონომი ყოფილა, მწვრთნელი ბრუს კოლინზი — ბაჰრეინელი ვალუტის ბროკერი, კაჭი სთივ ვიკერსი — ყატარელი ინჟინერი, ენდრიუ პიკერინგი — აბუდაბელი ბუღალტერი. გუნდში ერთადერთ კაცს — აიმან რაზაქს (14) ჰქონია არაბული გვარ-სახელი, მაგრამ ისიც ალალი ბრიტანელი გამომდგარა: მამა ჰყოლია ეგვიპტელი, თორემ დედით ინგლისელს ინგლისურის მასწავლებლად უმუშავია მცირე ხანს და ისევ ბრიტანეთს მიბრუნებია, სადაც თურმე ინგლისის ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობს.

ესოდენ მცირერიცხოვანსა და ასეთი შემადგენლობის თემს აბა სად ექნებოდა კენიის დედაქალაქ ნაირობს გასამგზავრებელი თანხა, სადაც არაბთა ყურეს სამხრეთ აფრიკის (?) ზონის შესარჩევ ტურნირში უნდა ესასპარეზა. ბედად, რაგბის კავშირის თავმჯდომარე ალან მალკოლმი გასცნობია ახლო აღმოსავლეთის ბრიტანული ბანკის ომანის ფილიალის მენეჯერ კის ჰოლტს, რომელიც რაგბის ფანატიკოსი ყოფილა. ჰოდა, ამ კაცს შეუმოსავს, ინგლისიდან მოწვეული ხალხისთვის გაუწვრთნინებია და კენიას მიუვლენია გუნდი, რომელსაც იმთავითვე კარგად ჰქონია შეგნებული, რომ ყველაფრის და მიუხედავად მაინც შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ სამივე მეტოქესთან წაეგო.

ასეც მოხდა, მაგრამ ყურელთა თავდადებამ, სილაღემ და ენთუზიაზმმა ნაირობელთა მოწონება დაიმსახურა. ძალად არაბებს ყველა თამაშში ერთი შეხედვით დიდოსტატური შედეგები ჰქონდათ — ოც ქულაზე ნაკლებს არ აგროვებდნენ, მაგრამ ყოველ ჯერზე მეტს უშვებდნენ: ტურნირის გამარჯვებულ ნამიბიასთან 20:62 წააგეს, მეორე ადგილზე გასულ ზიმბაბვესთან 21:50, კენიას კი, მართალია, უგებდნენ, მაგრამ მასთანაც დამარცხდნენ 23:24.

გეოგრაფიული განკერძოებულობა და პოლიტიკური დაქსაქსულობა ყურელთა მთავარი საწუხარი ყოფილა. მათი რაგბის კავშირი თურმე მართავს საშინაო თასსაც და პირველობასაც, რომლებსაც შესაბამისად „ფოსტერი“ და „სტანდარდ ჩართერდი“ სპონსორობენ, მაგრამ საპასპორტო შეზღუდვები არათუ ჩვენს ჯუმბერ ლეჟავას, არამედ ტომით ბრიტანელებსაც კი პრობლემებს უქმნის, საუდთა არაბეთში შესვლა რომ დასჭირდებათ. გარდა ამისა, როგორც კაპიტანი ტერნერი აცხადებს, „გვეწვიეთ და გვეთამაშეთ, თორემ მარტოთ რეგიონში რაგბის გავრცელება-განვითარება გვიჭირსო!“



ყურელთა კაპიტანი

ყურადსაღები მიწვევაა, მით უფრო, რომ საქართველოდან საამიროებში თვითმფრინავს სისტემატურად მიჰყავს ტურისტთა და ბიზნესმენთა ჯგუფები. რა იქნება, მათ მორაგბეებიც დაემატონ — ყოველ ნოემბერში დუბაიში ხომ ეწყობა რიგიანი შვიდკაცა, რომელშიც სსრკ-ს, რუსეთსა და უკრაინასაც კი უთამაშიათ.

კოტე იაშვილი

სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ ამერიკიდან. 39 წლისა ტრაგიკულად დაღუპულა ვოვა პეტუხოვი, რომელსაც თბილისში კარგად იცნობდნენ როგორც მოჭადრაკეს, მორაგბესა და ბანქოს მოთამაშეს. მოჭადრაკე ელენა ახმილოვსკაიას ყოფილი მეუღლე და თბილისის „ლოკომოტივის“ რაგბის გუნდის ყოფილი მორკინალი ბოლო წლებში ნიუ-იორკში ცხოვრობდა. მრავალმხრივ ნიჭიერმა კაცმა თავი ბიზნესშიც გამოიჩინა: ანტიკვარიატის შესყიდვას, რესტავრაციასა და გაყიდვას მარჯვედ ხელმძღვანელობდა. ამავე დროს არ ივიწყებდა სამშობლოს და აქედან ნიუ-იორკში გადახვეწილთა მფარველ-მარჩენლად და დამსაქმებლად გვევლინებოდა. სიცოცხლეც ერთმა შემცდარმა ჩვენებურმა მოუსწრაფა — ამაგის სანაცვლოდ შუბლში სამი ტყვია დაახალა. მკვლელს ამერიკის მართლმსაჯულებამ ოცწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

## აქეთური, იქითური

ახალი ზელანდიის კრიკეტის ... ბოლო ხანებში წუწუნებდა, აღარავის ვახსოვართ, ჩვენთან ტურნეთი რომ ჩამოვიდესო. ახლა სამხრეთ აფრიკას განუცხადებია, 1995 წელს ერთი ტესტის გასამართად საგანგებოდ გეწვევითო. ასე რომ არ ყოფილიყო, სამხრეთი აფრიკა ახალ ზელანდიას 2000 წლამდე ვერ ესტუმრებოდა, თუმცაკი გაისად ერთდღიანი კრიკეტის საიუბილეო ტურნირში აპირებს თამაშს.

*

კანადის პროვინციის — ონტარიოს ცენტრი ტორონტო გახდება პირველი არაამერიკული ქალაქი, რომელშიც კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (NBA) კლუბი დაიდებს ბინას. ტორონტოსათვის გუნდის ყოლის უფლების მინიჭება კარგა ხნის გადაწყვეტილი საქმე იყო, მაგრამ საქმეში მოულოდნელად ჩაერია თავად ასოციაცია და ონტარიოს მთავრობას მოსთხოვა, კალათბურთი ამოიღეთო იმ ტოტალიზატორის პროგრამიდან, აგერ უკვე ერთი წელი რომ მართავთო. არადა, ეს ტოტალიზატორი პროვინციას დიდძალ შემოსავალს აძლევს და ის რომ არა, ჯანდაცვისა და ახალგაზრდობის საქმეები კარგად ვერ იქნებოდა. კომპრომისი უკიდურეს ვადამდე სამი დღით ადრეღა გამოინახა: პროვინცია დაყაბულდა ასოციაციის თამაშების ტოტალიზატორიდან ამოღებას, რის სანაცვლოდაც ასოციაციამ იკისრა ფონდების გამოყოფა ახალგაზრდობისა და ჯანდაცვისათვის. რაც შეეხება გუნდს, როგორც ვარაუდობენ, პირველ სამ წელს იგი 5 მილიონ დოლარ მოგებას მოიტანს, მერე კი ყოველწლიურად — არანაკლებ მილიონს. მაგრამ ონტარიოელები მაინც შიშობენ, რომ NBA-ს შეიძლება სხვებმაც მიბაძონ და მაშინ ტოტალიზატორი სულ მთლად დაიშლებათ.

*

სრულიად ინდოეთის ჩოგბურთის ასოციაცია პარადოქსული გადაწყვეტილებების მიღებითაა ცნობილი. აი, ახლაც მათ გადაუწყვეტიათ, რომ დევისის თასზე მარტში აშშ-ის გუნდთან ათამაშონ 40 წელს გადაცილებული ვიჯეი ამრიტრაჯი, ვისაც კარგა ხანია, რაც დიდი ჩოგბურთი აღარ უთამაშია. ინდოეთის ჩოგბურთის ხელისუფალთა აზრით, 35 წლის რამეშ კრიშნანს შარშან ავსტრალიასთან ნახევარფინალში მხოლოდ ჰონორარის ხათრით უთამაშია და რადგანაც ფორმაში ვერ ყოფილა, ამის გამო ინდოეთს 0-5 წაუგია.

*

1 ივნისს ბრისბენში (ქვინზლენდი) უნდა გაიმართოს ტრადიციული მატჩი ლიგის რაგბის მსოფლიოს უძლიერესი კლუბის გამოსავლენად. ავსტრალიაში სეზონი ოქტომბერში დასრულდება, ამიტომ ამ ქვეყანას „ვინფილდის თასის“ შარშანდელი მფლობელი „ბრისბენ ბრონკოუზი“ წარმოადგენს. რაც შეეხება ქვინზლენდელთა მეტოქეს, იგი იქნება ბრიტანეთის ჩემპიონი, რომელიც აპრილის დამლევს გაირკვევა. ბრიტანეთის ლიგის გათამაშებას მონაცვლეობით ლიდერობენ „ბრედფორდ ნოზერნი“, „ვორინგტონი“ და „ვიგანი“, თუმცაკი ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონ „ვიგანს“ ნაკლები თამაში აქვს გამართული. ავსტრალიურმა სადაზღვევო კომპანია MMI-მა მატჩის სასპონსოროდ ასი ათასზე მეტი გირვანქა გამოყო. აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე წლის-წინ ანალოგიური თამაშის გამართვა ერთი პირობა პასადინის „როუზ ბოულზეც“ დააპირეს, მაგრამ მერე და მერე პროფესიული რაგბის მამებმა ავანტიურაზე ხელი დროულად აიღეს.

*

ინდიანას შტატის სააპელაციო სასამართლომ განიხილა კრივში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, მძიმეწონოსანი მაიკ ტაისონის სარჩელი ექსწლიანი პატიმრობის წინააღმდეგ, რომელიც მოკრივეს სილამაზის კონკურსის მონაწილის, ვინმე დეზირი ვაშინგტონის ვითომცდა გაუპატიურების გამო დაეკისრა. როგორც 27 წლის ტაისონი ამტკიცებს, ვაშინგტონმა ცილი დასწამა და საქმეც იმიტომ აღძრა, დიდძალი ფინანსური კომპენსაცია რომ გამოეძალათ. ტაისონი იმასაც ამბობს, რომ გამომძიებლებმა წინდაწინ უწყოდნენ ზანგი გოგოს განზრახვა და ამიტომ გამოიდეს თავიო. თუ სასამართლო მოკრივის სიმართლეს დაამტკიცებს, ექს-ჩემპიონი ციხიდან გამოვა, მაგრამ კრივს მიუბრუნდება თუ არა, კიდევ საკითხავია.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი 380079, ს/ყ 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)